

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი



2017 წელი

შინაარსი


I. შესავალი.....	3
II. ქუთაისის შესახებ	4
III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი	14
IV. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია	18
V. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები.. ..	20

I. შესავალი

ქალაქ ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურებების მიწოდებას მოითხოვს. შეზღუდული რესურსების პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ პრიორიტეტების სწორად გამოკვეთა და სახსრების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ამდენად, მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი დაგეგმვა ერთ-ერთი კრიტიკული მნიშვნელობის ინსტრუმენტია.

საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, საშუალოვადიანი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელებისა და ანგარიშგების ერთიან პროცესს. ამ პროცესის მეშვეობით განისაზღვრება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული განახორციელებს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი ეფუძნება „ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2021“-ს, რომელიც შემუშავებული იქნა ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ საზოგადოების ფართო ჩართულობით და დამტკიცდა 2016 წლის 31 აგვისტოს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ. პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მექანიზმს საშუალოვადიან პერსპექტივაში, ხოლო თავის მხრივ პრიორიტეტების დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევისათვის ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები (იხ. დანართი). ამასთან, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, მასში შესაძლებელია, რომ დეტალურად გაიწეროს და ნათლად წარმოჩინდეს და თითოეული სტრატეგიული პროგრამის და პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და მისაღები/მიღებული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.



საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის რეალიზაცია ორიენტირებულია ქ.ქუთაისში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, სამრეწველო, სავაჭრო და ტურისტული სექტორების განვითარების, ქალაქის ეკონომიკის დინამიური ზრდის უზრუნველყოფის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების გადიდების, სიღარიბის ეტაპობრივი დაძლევის და სოციალური ფონის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.

II. ქუთაისის შესახებ

ქუთაისი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს. ქალაქს გარს აკრავს მჭიდროდ დასახლებული რაიონები. ქუთაისი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც მდინარე რიონი თავისი ვიწრო და საკმაოდ ღრმა ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოდის. მდინარე დაახლოებით ორ თანაბარ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად ყოფდა საქალაქო დასახლებას, მაგრამ იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ფართო სამრეწველო მშენებლობა განხორციელდა, ამჟამად ქალაქის მარჯვენა მხარეს ბევრად მეტი ტერიტორია უკავია, ვიდრე მდინარის მარცხნივ მდებარე უბნებს.

ქალაქი ახლოს მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ისეთ მნიშვნელოვან საპორტო ქალაქებთან, როგორებიცაა ფოთი და ბათუმი. ორივე ამ პუნქტთან ქუთაისს აქვს პირდაპირი სარკინიგზო და საავტომობილო კავშირი. მანძილი ბათუმამდე შეადგენს 139 კმ-ს, ხოლო ფოთამდე 103 კმ-ს. 204 კმ-ით არის დაშორებული ქუთაისი სოხუმიდან და 114 კმ-ით იქნება დაშორებული ანაკლიის პორტიდან. 107კმ-ით არის დაშორებული ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კიდეც ერთი დიდი ქალაქიდან - ზუგდიდიდან და 231 კმ-ით - დედაქალაქ თბილისიდან¹.

ქუთაისი მდებარეობს რკინიგზებისა და გზატკეცილების ხშირი ქსელის ცენტრში, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალს ის უკავშირდება სადგურ რიონიდან და სადგურ ბროწეულადან გაყვანილი ორი დამოუკიდებელი ხაზით (თითოეული ამ გზით მანძილი სადგურებიდან ქუთაისამდე დაახლოებით 8 კმ-ია). აღნიშნული მაგისტრალით ქუთაისი ასევე დაკავშირებულია საქართველოს ყველა სამრეწველო ცენტრთან. თუმცა, თანამედროვე პირობებში დღის წესრიგში დგას ქალაქის გაფართოების საკითხი, რის შედეგადაც ის უშუალოდ სარკინიგზო მაგისტრალის გასწვრივ აღმოჩნდება.

¹ ინფორმაციის წყარო: www.google.ge/maps/

ქუთაისის მიმდებარედ, ქალაქიდან 20 კმ-ში განთავსებულია, „დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“, რომელიც იაფი ფრენების მეშვეობით ტურისტების მუდმივად მზარდ რაოდენობას იზიდავს ქალაქში. ამჟამად, აეროპორტიდან ხორციელდება იაფი პირდაპირი ფრენები მსოფლიოს 16 ქალაქში, ამასთან, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში არის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აქტიურად მუშაობს დამატებითი ავიარეისების დანიშვნაზე.

ქალაქის განაშენიანებული კვარტლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გრძელდება 7,9 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე. ქალაქის საზღვრებში არსებული მიწა (ზედაპირი) - 65 კვ.კმ.-ია, ურბანიზებული მიწა - 55კვ.კმ. ქალაქის პირველადი საგზაო ქსელის სიგრძეა 231.3 კმ.


ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ზონაშია განლაგებული. ქალაქისა და მისი მიდამოების ჰავის ძირითადი ნიშნები ხასიათდება შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ზომიერად თბილი ზამთრით და ხშირი, ძლიერი აღმოსავლეთის ქარებით. აქ ადრე დგება გაზაფხული და მარტიდან მასამდე ბევრად უფრო მაღალია ჰაერის ტემპერატურა, ვიდრე თბილისსა და ბათუმში.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და მოსახლეობა. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს - ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად ესენია:

- ქალაქ მუზეუმის ადმინისტრაციული ერთეული;
- უქიმერიონის ადმინისტრაციული ერთეული;
- გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეული;
- ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეული;
- საფიჩხის ადმინისტრაციული ერთეული;
- გუმათის ადმინისტრაციული ერთეული;
- ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეული;
- სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეული;
- ვაკისუბნის ადმინისტრაციული ერთეული;
- კახიანაურის ადმინისტრაციული ერთეული;
- მუხნარის ადმინისტრაციული ერთეული;
- ნიკეას ადმინისტრაციული ერთეული.

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით 2015 წლის მდგომარეობით თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში, 65 კვ.კმ ფართობზე 147,9 ათასი მოსახლე ცხოვრობს.

ქუთაისის მოსახლეობის დინამიკა



ქუთაისში დასავლეთ საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11,0% და დასავლეთ საქართველოს ურბანული მოსახლეობის 24.1% ცხოვრობს. 1959 წლიდან 2015 წლამდე ქუთაისის მოსახლეობის წილი საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში 7.5%-დან 7%-მდე შემცირდა. ქუთაისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 2275 კაცია 1კვ.კმ.-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღალია.

დასაქმება. 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ქალაქ ქუთაისში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 21733-ს, რითაც ის მსხვილი ქალაქებიდან (გარდა თბილისისა) ორჯერ ჩამორჩება ბათუმს და მცირედით უსწრებს რუსთავს. ამასთან, მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16-18%-ს შეადგენს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქის დასაქმების სტრუქტურა. კერძოდ, თუკი ტრადიციულად ქალაქის ეკონომიკაში სამრეწველო სექტორი დომინირებდა, ახლა მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობა შეადგენს 11,1%-ს, ხოლო ვაჭრობა-მომსახურებაში - 38,7%-ს, ჯანდაცვაში - 9,2%-ს, განათლებასა და სპორტში - 17,8%-ს².

მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მუნიციპალურ სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა (7,5%), რაც მცირე ზომის ქალაქისათვის, რომლის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად ნაწილს გრანტები შეადგენენ, არასასურველია.

² ინფორმაციის წყარო: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ბიზნესის კვლევის შედეგები

ხელისუფლება და ბიუჯეტი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 25 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 10 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტმა ადგილობრივი შემოსავლების, გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების, მთავრობის სარეზერვო და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების ცვლილების ჩათვლით 69 127,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც უპრეცედენტოა ქალაქისათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში.

2015 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 8560,6 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 20730,4 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1672,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 5831,3 ათასი ლარი;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლება – 10427,4 ათასი ლარი;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 14877,9 ათასი ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 3082,6 ათასი ლარი;

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2014-2020 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროექტი
1	2	3	4	5	7	8	9
შემოსავლები	53 896,2	62 616,5	63 761,2	48,472.8	50,411.7	52,428.2	54,525.3
გადასახადები	4 664,7	5 073,3	18 190,0	18,700.0	19,448.0	20,225.9	21,035.0
გრანტები	41 431,9	47 393,9	36 005,9	19,798.0	20,589.9	21,413.5	22,270.1
სხვა შემოსავლები	7 799,6	10 149,3	9 565,3	9,974.8	10,373.8	10,788.7	11,220.3
ხარჯები	42 753,0	45 846,6	53 143,5	43,008.4	44,728.7	46,517.9	48,378.6
შრომის ანაზღაურება	4 255,9	4 120,5	4 407,8	4,123.5	4,288.4	4,460.0	4,638.4
საქონელი და მომსახურება	4 527,1	6 763,3	7 551,3	8,118.4	8,443.1	8,780.9	9,132.1
პროცენტი	167,2	57,5	7,0	30.0	31.2	32.4	33.7
სუბსიდიები	31 594,0	25 504,2	28 868,1	25,148.0	26,153.9	27,200.1	28,288.1

გრანტები	62,3	3 311,8	2 752,0	70.0	72.8	75.7	78.7
სოციალური უზრუნველყოფა	2 146,5	2 413,5	3 107,4	2,909.2	3,025.6	3,146.6	3,272.5
სხვა ხარჯები	0,0	3 675,8	6 449,9	2,609.3	2,713.7	2,822.2	2,935.1
საოპერაციო სალდო	11 143,2	16 769,9	10 617,7	5,464.4	5,683.0	5,910.3	6,146.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 150,3	15 229,5	17 070,3	5,014.4	5,215.0	5,423.6	5,640.5
ზრდა	14 542,5	18 177,1	20 570,3	8,114.4	8,439.0	8,776.5	9,127.6
კლება	2 392,2	2 947,6	3 500,0	3,100.0	3,224.0	3,353.0	3,487.1
მთლიანი სალდო	-1 007,1	1 540,4	-6 452,6	450.0	468.0	486.7	506.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 851,6	681,9	-6 759,6	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	6 676,4	7 358,3	0,0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი		300,0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	6 676,4	7 058,3	0,0		0.0	0.0	0.0
კლება	8 528,0	6 676,4	6 759,6	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	8 528,0	6 676,4	6 759,6	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-844,5	-858,5	-307,0	-450.0	-468.0	-486.7	-506.2
ზრდა	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო		0,0	0,0		0.0	0.0	0.0
საგარეო		0,0	0,0		0.0	0.0	0.0
კლება	844,5	858,5	307,0	450.0	468.0	486.7	506.2
საშინაო	844,5	858,5	307,0	450.0	468.0	486.7	506.2
საგარეო		0,0	0,0		0.0	0.0	0.0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0

2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი. ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) 2015 წელს მობილიზებულია 71445,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (72231,7 ათასი ლარი) 98,9%.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 62336,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (63190,1 ათასილარი) 98,6% და მთლიანი - შემოსულობების 87,3% შეადგენს. მათ შორის:

- გადასახადების სახით მობილიზებულია 5073,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 104,6%-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 4664,7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 408,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის;
- გრანტების სახით მიღებულია 47393,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (47584,8 ათასი ლარი) 99,6%-ია. მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 31898,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 220,0 ათასი ლარი, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 14579,0 ათასი ლარიდან მიღებული იქნა - 14445,3 ათასი ლარი. ასევე ბიუჯეტში ჩაირიცხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება 830,6 ათასი ლარი.
- სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 9869,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 91,8%-ია.

დასახელება	2015 წელი (ათასი ლარი)			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	63190,1	62336,2	853.9	98.6
გადასახადები	4850,0	5073,2	-223.2	104.6
გრანტები	47584,8	47393,9	190.9	99.6
სხვა შემოსავლები	10755,3	9869,1	886.2	91.8

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2015 წელს მობილიზებული იქნა 2947,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 98,2%-ია. მათ შორის: 1122,7 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 1824,5 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 4,1 პროცენტს შეადგენს.

ქუთაისის ეკონომიკა. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეკონომიკის ძველი სისტემის შეცვლამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა, მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის და შესაბამისად საქართველოს ყველა ქალაქის, მათ შორის ქუთაისის ეკონომიკა.

1995-2001 წლებში ქალაქის ეკონომიკურ სფეროში ცალკეული პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, ზოგადი მდგომარეობა კვლავ რთული დარჩა. უკიდურესად

დაბალი იყო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურად ფუნქციონირებას, მათი საქმიანობა ცალკეული მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმოო ფართების გაქირავება, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შემოიფარგლებოდა. წარმოების უმოქმედობის ან მცირე დატვირთვის პირობებში, საწარმოებს დიდძალი საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ, რამაც, თავის მხრივ, დაამძიმა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა.

2002-2006 წლებში პროდუქციის გამოშვების მოცულობა და ბრუნვის საერთო მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2007-2014 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა წარმოებული პროდუქციის ზრდის ტენდენცია. 2015 წლიდან კი მცირე გამოცოცხლება შეინიშნება.

ბოლო ათწლეულებში ქალაქში გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა ძირეულად შეიცვალა. ძირითადად „დატვირთვამ“ მომსახურე დარგებზე გადაინაცვლა. კერძოდ, თუ საწარმოო სფეროს გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურაში მხოლოდ 17% უჭირავს, ვაჭრობა 36,5%-ით ფიქსირდება, განათლება, ჯანდაცვა და სპორტი 7,5%-ით, ხოლო მშენებლობა 12%-ით.

ამჟამად ქუთაისში ძირითადად შემდეგი პროდუქცია იწარმოება:

- ელექტროენერგეტიკა;
- ელექტრო მოწყობილობები და ელექტრონული კომპონენტები;
- დეკორატიული და საამშენებლო ქვის დამუშავება (მარმარილო, ცარცი, გრანიტი და ა.შ.);
- გადამუშავებული ხე-ტყე, ავეჯი;
- ლითონი და ლითონნაკეთობები, თუჯის სხმულები;
- პლასტმასი და მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის ნაკეთობები;
- ბეტონი, რკინაბეტონი და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, საკედლე ბლოკები და სილიკატური აგური;
- საღებავები, ლაქები, ემალები და მათი მინერალური პიგმენტები;
- ქიმიური ნივთიერებები;
- საკვები პროდუქტები (პურფუნთუშეულის წარმოება, ხორბლის გადამუშავება, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური და უალკოჰოლო სასმელები, ხორცი და ხორცპროდუქტები, საკონდიტრო, რძის პროდუქტები, მაკარონი, ჩაი)
- სუნელ საწარმოები და საკმაზ საწარმოები;

- ტყავი და ტყავის ნაწარმი (მეტწილად ფეხსაცმელი);
- ტექსტილი, ტრიკოტაჟი და ნაქსოვი ტილო, შალის ბოჭკო, ქსოვილები და საგალანტერიო ნაწარმი;
- სამკერვალო ნაწარმი.

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით ქ. ქუთაისში 2015 წლისათვის რეგისტრირებული იყო 35 776 ბიზნეს სუბიექტი. ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 2014 წლისათვის შეადგინა 1 176,3 მლნ. ლარი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2013-2014 წლებში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობის მიხედვით ქუთაისი უსწრებს ყველა დიდ ქალაქს საქართველოში, თბილისის გარდა და ამასთან, დადებითი დინამიკით ხასიათდება. ქუთაისში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში ხორციელდება.

ქუთაისში არსებობს ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომლებიც მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს და სტრატეგიული მდებარეობის გამო პოტენციურ ინვესტორთა დიდ დაინტერესებას იწვევენ.

ტრანსპორტი და კომუნიკაცია. ქუთაისი რამდენიმე მნიშვნელოვანი საავტომობილო მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობს. ქალაქში გადის საქართველოს საავტომობილო გზები ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი, ქუთაისი-ბაღდათი და ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაური. ქალაქში არის რკინიგზის სადგური, საიდანაც არის მუდმივი მიმოსვლა თბილისსა და ბათუმში. ქუთაისიდან რამდენიმე კილომეტრში, კოპიტნარში, მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, საიდანაც დღეის მდგომარეობით მსოფლიოს 16 ქალაქში პირდაპირი ფრენები ხორციელდება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურისტების ზრდას ქუთაისსა და მთლიანად რეგიონში.

ქალაქში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელია შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება. საშუალოდ წელიწადში მუნიციპალური ტრანსპორტით 16-18 მლნ. კაცის გადაყვანა ხდება. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე ქალაქში 400 კმ-ს აღემატება.

საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი ფუნქციიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქციაა, რის გამოც ახალი დატვირთვა შეიძინა ქუთაისის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. თანამედროვე ეტაპზე, ქალაქი გვევლინება, როგორც დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი, ერთის მხრივ ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის და მეორე მხრივ - საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს შორის. ამ მხრივ განსაკუთრებულია ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის ახლადშექმნილი ავტომაგისტრალი, რომელიც არ შედის ქალაქში, თუმცა

პერსპექტივაში იძლევა ახალ ავტომაგისტრალამდე ქალაქის გაფართოების შესაძლებლობას.

ქალაქის ეკონომიკისათვის დამატებითი სტიმულის მიმცემი იქნება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა ქალაქთან დაკავშირებული სხვა მიმართულებებითაც (მაგალითად: ქუთაისი-მესტია, ქუთაისი-ამბროლაური, ქუთაისი-ახალციხე, ქუთაისი-ფოთი, ქუთაისი-ზუგდიდი და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს ქუთაისის გადაქცევას დასავლეთ საქართველოს ერთერთ მთავარ ქალაქად, რომლის ეკონომიკაზე მიბმული იქნება სხვა დანარჩენი, შედარებით მცირე ზომის მუნიციპალიტეტების ეკონომიკა.

სოციალური მდგომარეობა და სოციალური ინფრასტრუქტურა. ქალაქში სკოლამდელი აღზრდის პროცესს 37 საჯარო და 26 კერძო ბაგა-ბაღი ემსახურება, რომლებშიც საერთო ჯამში 10 ათასზე მეტი აღსაზრდელია. გაზრდილი მოთხოვნის არსებობის გამო, ქალაქმა ააშენა და 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ორი ახალი საბავშვო ბაღი, რამდენიმე ბაღზე კი გაკეთდა მიშენება, რათა დამატებითი აღსაზრდელების მიღება იქნეს შესაძლებელი. ქალაქში 53 საშუალო სკოლაა, რომელთაგან 15 კერძოა, 38 კი საჯარო. სულ მათში 27 ათასამდე მოსწავლე იღებს განათლებას.

ქალაქის პრიორიტეტების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული ამ პროცესში საუნივერსიტეტო და პროფესიული სასწავლებლების პოტენციალის ჩართულობაზე, როგორც დეფიციტურ სპეციალობებში (განსაკუთრებით, კვების და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკა და ტექნოლოგია, ელექტროინჟინერია, მეტალურგია, ურბანისტიკა, ბიზნესის დაგეგმარება და სტრატეგიული მართვა და სხვა) კადრების მომზადება-გადამზადების, ისე ცალკეული ბიზნეს-პროექტების შემუშავების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიმართულებითაც.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა

საგანმანათლებლო დაწესებულები	საჯარო	კერძო
სკოლამდელი	37	26
ზოგადი საშუალო	38	15
პროფესიული/სახელობო	1	8
უმაღლესი	1	1
საგანმანათლებლო დაწესებულების სიმძლავრე (მოსწავლეთა რაოდენობა)		
სკოლამდელი	10446	
ზოგადი საშუალო	23790	2934

პროფესიული/სახელობო	1317	1778
უმაღლესი	8844	
საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური პერსონალი		
სკოლამდელი	750	
ზოგადი საშუალო	1900	563
პროფესიული/სახელობო	66	366

ათწლეულების მანძილზე ქალაქ ქუთაისში აკადემიური და პროფესიული კადრების გამოცდილი და კვალიფიციური შემადგენლობა ჩამოყალიბდა. ამჟამად ქუთაისში ფუნქციონირებს 2 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი, ასევე რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. უმაღლეს სასწავლებლებში 8500-მდე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი სწავლობს.

2015 წლის მონაცემებით, ქ. ქუთაისში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა შედგება 115 სამედიცინო დაწესებულებისაგან.

კულტურის ინფრასტრუქტურა

ბიბლიოთეკები	
მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკები	14
თეატრები	
თეატრები	3
ადგილების რაოდენობა	1325
პრესა და ტელევიზია	
საინფორმაციო სააგენტოები/ელექტრონული გამოცემები	5
ტელე/რადიო მაუწყებელთა რაოდენობა	ტელევიზია - 1
	რადიო - 2
საკაბელო ტელევიზიათა რაოდენობა	3
პარკები და სკვერები	
პარკების რაოდენობა	4
პარკების ფართობი, კვ.მ	124 173
სკვერების რაოდენობა	366
სკვერების ფართობი, კვ.მ	566 314,1
სპორტული მოედნები	
სტადიონები	5
სტადიონებზე ადგილების რიცხვი	20 000
სპორტული მოედნები	25

III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ქალაქის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა; სატრანსპორტო კომუნიკაცია (გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი) ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების არეალში ყოფნა; იაფი მუშახელი; საბინაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მუნიციპალური პროგრამების არსებობა; ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის არსებობა. 	<ul style="list-style-type: none"> კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; შრომითი რესურსების არასაკმარისი მობილურობა; შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არარსებობა; მოდველებული საწარმოო ტექნიკური ბაზა; კვალიფიციური კადრების დეფიციტი; ამორტიზებული საბინაო ფონდის არსებობა; მდინარეების დაბინძურება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით; ქალაქის ინფრასტრუქტურული ქსელების (მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები) ერთიანი ბაზის (რუქის) არ არსებობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის მიმართ; ქალაქის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა; ტრანზიტული მიმართულებით ქალაქის განვითარების შესაძლებლობა; ტექნოპარკების და ინდუსტრიული ზონების წარმოქმნისათვის შესაბამისი ბაზის არსებობა; ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა. 	<ul style="list-style-type: none"> ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; პოლიტიკური არასტაბილურობა; ბუნებრივი სტიქიები; ფისკალური დეცენტრალიზაციის დაბალი დონე.

ეკონომიკა და ტურიზმი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ქალაქის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა; სატრანსპორტო კომუნიკაცია (გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი); ქალაქის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ტურისტული ცენტრის პროპაგანდისთვის მყარი და რაციონალური საფუძვლის არსებობა; კეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი 	<ul style="list-style-type: none"> კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; არსებული რესურსების სამეწარმეო საქმიანობისათვის არასათანადოდ გამოყენება; უმუშევრობის მაღალი დონე; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; ტურისტული მარშუტების არასაკმარისი რაოდენობა (საველოსიპედო, საცხენოსნო,

<p>ისტორიული ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობა;</p> <ul style="list-style-type: none"> • კრიმინალური შემთხვევების დაბალი დონე; • მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების არეალში ყოფნა; • იაფი მუშახელი; • თავისუფალი ინდუსტრიული ზონის არსებობა; • საპარლამენტო და სამთავრობო სტრუქტურების არსებობა; • სამრეწველო პოტენციალის და მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციების არსებობა; • ძლიერი არასამთავრობო სექტორი; • დინამიურად განვითარებადი საბანკო სექტორი; • სამრეწველო პოტენციალის და მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციების არსებობა; • სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი; • მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები, კონკურენტუნარიანი და მზარდი საგანმანათლებლო სექტორი; • საბინაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მუნიციპალური პროგრამების არსებობა; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; • ჰიდრორესურსებით და ენერჯის განახლებადი წყაროებით (ქარის, მზის ენერჯია) მდიდარი მხარე; • მდიდარი ფლორა; • ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის არსებობა. 	<p>სათხილამურო);</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს-საკონსულტაციო ორგანიზაციების სიმცირე; • მოსახლეობის შემოსავლების მაღალი პოლარიზაცია; • შრომითი რესურსების არასაკმარისი მობილურობა; • ახალგაზრდებში დასაქმების დაბალი დონე; • მოსახლეობის ეკონომიკური და სამართლებრივი განათლების დაბალი დონე; • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არარსებობა; • მოძველებული საწარმოო ტექნიკური ბაზა; • ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიზნესის სტიმულირების მცირე შესაძლებლობა; • ქალაქის შესახებ მყარი სტატისტიკური ბაზის არარსებობა; • ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა; • ქალაქის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა; • ეკონომიკის რიგ მიმართულებებში კვალიფიციური კადრების დეფიციტი; • დაზღვევის კულტურის უკმარისობა; • მდინარეების დაბინძურება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით;
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების გაძლიერება; • ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის მიმართ; • ქალაქის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა; • სპეციალიზებული ტურიზმის ბაზრის განვითარების შესაძლებლობა; • უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე ბიზნესის მომსახურების განვითარების შესაძლებლობა; • ტექნოპარკების და ინდუსტრიული ზონების წარმოქმნისათვის შესაბამისი ბაზის არსებობა; • პროფესიული გადამზადების ცენტრების რაოდენობის ზრდა; • განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სფეროს განვითარება; • კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; • პოლიტიკური არასტაბილურობა; • ბუნებრივი სტიქიები; • ფისკალური დეცენტრალიზაციის დაბალი დონე; • ტურიზმის დარგში კომუნიკაციის არაეფექტიანი სისტემა; • ადგილობრივ ტურისტულ პროდუქტთან საზღვარგარეთული ტურების კონკურენცია; • წარმოებაში არსებული მზარდი კონკურენცია (თურქეთი და ჩინეთი); • საგანმანათლებლო სექტორიდან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების გადინება; • მდინარეების წყლის ქიმიური შემადგენლობის არასრულყოფილი მონიტორინგი; • მდინარეების დაბინძურება საყოფაცხოვრებო

<p>განვითარება;</p> <ul style="list-style-type: none"> • დამეგობრებულ ქალაქებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობების შესაძლებლობა ეკონომიკის, განათლების, ტურიზმის დარგში; • ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა; • ტურისტული ცენტრის ფორმირება; • საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ დონესთან მაქსიმალური მიახლოების ტენდენცია. • მიზნობრივი ბაზრების მოძიება და მათი ათვისების სტრატეგიის შემუშავება. 	<p>და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით.</p>
---	---

განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ქალაქის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა; • სატრანსპორტო კომუნიკაცია (გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი); • კეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; • მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ისტორიული ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობა; • კრიმინალური შემთხვევების დაბალი დონე; • ძლიერი არასამთავრობო სექტორი; • მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები, კონკურენტუნარიანი და მზარდი საგანმანათლებლო სექტორი; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; • მდიდარი ფლორა. 	<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; • შრომითი რესურსების არასაკმარისი მობილურობა; • ახალგაზრდებში დასაქმების დაბალი დონე; • მოსახლეობის ეკონომიკური და სამართლებრივი განათლების დაბალი დონე; • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არარსებობა;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების გაძლიერება; • ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის მიმართ; • ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა; • უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე სხვადასხვა მომსახურების განვითარების შესაძლებლობა; • პროფესიული გადამზადების ცენტრების რაოდენობის ზრდა; • განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სფეროს განვითარება; 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; • პოლიტიკური არასტაბილურობა; • ფისკალური დეცენტრალიზაციის დაბალი დონე; • უცხოური კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების მხრიდან მაღალი კონკურენცია.

<ul style="list-style-type: none"> • კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და განვითარება; • დამეგობრებულ ქალაქებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობების შესაძლებლობა ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის დარგში; • საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ დონესთან მაქსიმალური მიახლოების ტენდენცია. 	
---	--

ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ქალაქის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა; • სატრანსპორტო კომუნიკაცია (გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი) და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; • კეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; • კრიმინალური შემთხვევების დაბალი დონე; • ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების მზარდი დინამიკა; • იაფი სამედიცინო პერსონალი; • საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა; • ძლიერი არასამთავრობო სექტორი; • დინამიურად განვითარებადი საბანკო სექტორი; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; • ადგილობრივ ბიუჯეტში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების არსებობა; • მდიდარი ფლორა; 	<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; • მოსახლეობის შემოსავლების მაღალი პოლარიზაცია; • შრომითი რესურსების არასაკმარისი მობილურობა; • ახალგაზრდებში დასაქმების დაბალი დონე; • მოსახლეობის სამედიცინო და სამართლებრივი განათლების დაბალი დონე; • სამედიცინო სფეროში ტექნოლოგიებსა და პერსონალის კვალიფიკაციას შორის არსებული დისბალანსი; • დაზღვევის კულტურის უკმარისობა; • მდინარეების დაბინძურება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირების გაძლიერება; • ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის მიმართ; • ქალაქის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა; • სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; • უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე სხვადასხვა მომსახურების განვითარების შესაძლებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; • პოლიტიკური არასტაბილურობა; • ჯანდაცვაში არსებული მზარდი კონკურენცია (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ); • სექტორიდან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების დამატებითი გადინება; • მდინარეების წყლის ქიმიური შემადგენლობის არასრულყოფილი მონიტორინგი; • მდინარეების დაბინძურება საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით.

IV. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ქუთაისის განვითარების საშუალოვადიანი ხედვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს.

ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ფართო ჩართულობა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის დადებით წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ხედვა: ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ის ადმინისტრაციულ, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და ბიზნეს სტრუქტურებს; მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, განათლების მისაღებად, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების

ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

მისია: ქუთაისი არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- *მაღალი ხარისხის განათლების სერვისის მიწოდებას;*
- *მაღალი ხარისხის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო სერვისის მიწოდებას;*
- *მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას;*
- *საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;*
- *ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;*
- *გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;*
- *ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.*

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

V. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

პრიორიტეტი 1. ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა

ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევების ღირსეული დაძლევისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია ქალაქს ყავდეს ეფექტური თვითმმართველობა, რომელიც კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში უზრუნველყოფს მართვის თანამედროვე მეთოდების და საშუალებების გამოყენებას, საკუთარი ბენეფიციარებისათვის საუკეთესო ხარისხის სერვისების შეთავაზების მიზნით. ამისათვის ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ უკვე დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, ელექტრონული აუქციონების ჩატარების პრაქტიკა, შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების მოქალაქეთა მომსახურების სივრცე, მიღებული იქნა მართვაში ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001-2015. ასევე, უახლოესი მომავლისათვის დაგეგმილია არაერთი მსგავსი პროექტის განხორციელება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტურობის უწყვეტი ზრდა.

შედეგი 1. გაზრდილია თვითმმართველობის ეფექტურობა;

შედეგი 2. შენარჩუნებულია საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი;

შედეგი 3. უზრუნველყოფილია თვითმმართველობის სერვისების მნიშვნელოვანი ნაწილის ელექტრონულად მიღების შესაძლებლობა.

პრიორიტეტი 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

შედეგი 1. საავტომობილო გზების გაზრდილი გამტარუნარიანობა; მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; გამართული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემა; ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება;

შედეგი 2. საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციის გაზრდილი ვადა; მოსახლეობისათვის შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გარემო; საცხოვრებელი კორპუსების გაზრდილი ენერგოეფექტურობა; კორპუსების ეზოებში გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;

შედეგი 3. მოწესრიგებული ქალაქის გარე იერსახე;

შედეგი 4. განათებული ქალაქი; ტურისტებისათვის კომფორტული და მიმზიდველი გარემო; გასართობი და დასასვენებელი ადგილების გაზრდილი რაოდენობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები.

პრიორიტეტი 3. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებას, რომლებიც თავის მხრივ გახდებიან ქალაქის მდგრადი განვითარების საფუძველი. კერძოდ, გათვალისწინებულია 2016 წელს შერმუშავებული ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2021-ის საფუძველზე, გენერალური განვითარების გეგმის მომზადება, ეკონომიკისა და ბიზნესის, მათ შორის ტურიზმის მასტიმულირებელი პროექტების განხორციელება; მუნიციპალიტეტის ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა.

შედეგი 1. მომზადებული ქალაქის გრძელვადიანი განვითარების გენერალური გეგმა;

შედეგი 2. ქუთაისის ტურისტული ატრაქციების გაზრდილი რაოდენობა და ტურისტული პოტენციალის მეტი ცნობადობა, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ტურისტებში;

შედეგი 3. მეცნიერულად გამოკვლეული ეკონომიკის ყველა პერსპექტიული დარგი და მომზადებული საინვესტიციო წინადადებების პაკეტი და ადგილობრივი წარმოების პროდუქციის კატალოგები; ინვესტიციების გაზრდილი ოდენობით შემოდინება; უმუშევრობის შემცირებული დონე;

შედეგი 4. ოპტიმალური მოცულობის მუნიციპალური ქონება, რომელიც მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენება.

პრიორიტეტი 4. გარემოს დაცვა

პრიორიტეტის განხორციელებით გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა. ქალაქისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისაგან იზოლირება, მწვანე საფარის მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები და ა.შ. არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას.

შედეგი 1. დასუფთავებული ქალაქი; გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა; მინიმუმამდე შემცირებული საფრთხე სხვადასხვა ვირუსული დაავადებებისა;

შედეგი 2. უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა და კომფორტული დასასვენებელი ადგილების არსებობა.

პრიორიტეტი 5. სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლება

საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი საღმრთლო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო-სააღმრთლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმრთლო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას; საზოგადოების, მათ შორის აღსაზრდელებისა და პედაგოგების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის შესახებ. პრიორიტეტის ფარგლებში ასევე განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა.

შედეგი 1. გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ბაგა-ბაღები და სკოლისგარეშე დაწესებულებები; კვალიფიციური კადრების გაზრდილი რაოდენობა; გაუმჯობესებული სააღმრთლო გარემო;

შედეგი 2. მოზარდებში ცოდნის და კულტურული ფასეულობების, ასევე პატრიოტული სულისკვეთების მაღალი დონე, სამშობლოს წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

შედეგი 3. დაცული, მოვლილი და განახლებული საბიბლიოთეკო ფონდი; საზოგადოების ცნობიერების მაღალი დონე.

პრიორიტეტი 6. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

შედეგი 1. დამკვიდრებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი;

შედეგი 2. დაწყებულია კულტურის, განათლების, ხელოვნების სფეროს დაწესებულებების კომერციულ საწყისებზე გადაყვანის პროცესი; გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე დაწესებულებები;

შედეგი 3. საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართული ახალგაზრდები; მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება ახალგაზრდებში; თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება ახალგაზრდების მიერ.

პრიორიტეტი 7. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე მოხდება სოციალური საცხოვრისის მშენებლობა-კეთილმოწყობა.

შედეგი 1. ეპიდემიური დაავადებების შემთხვევების შემცირებული ოდენობა; მოზარდ თაობაში გავრცელებული დაავადებების გამოვლენით შემდგომ ასაკში დაავადებათა გართულების პრევენცია;

შედეგი 2. მოსახლეობის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; შექმნილი სოციალური საცხოვრისი; სოციალურად ინტეგრირებული საზოგადოების ყველა ფენა.

შედეგი 3. კეთილმოწყობილი მუნიციპალური სოციალური საცხოვრისი.

ფინანსური მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით

	დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
1	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	7134.7	7420.1	7716.9	8025.6
2	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10830.3	11263.5	11714.1	12182.6
3	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	170.0	176.8	183.9	191.2
4	გარემოს დაცვა	5943.0	6180.7	6427.9	6685.1
5	განათლება	11618.6	12083.3	12566.7	13069.3
6	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	10285.0	10696.4	11124.3	11569.2
7	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5591.2	5814.8	6047.4	6289.3
	სულ ჯამი	51572.8	53635.7	55781.1	58012.4